განაცხადების მიღება (RfA)
სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამისთვის

მიზანი:
USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა, მისი პროგრამული მისიისა და ამოცანების შესაბამისად - გაამლიეროს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება და ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვას - აცხადებს „სწრაფი რეაგირების გრანტების პროგრამას". ეს პროგრამა მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის უწყვეტობისა და მედეგობის მხარდაჭერას საქართველოში. საგრანტო პროგრამა უზრუნველყოფს სწრაფ, მოქნილ და კრიტიკულ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას, რათა მათ შეძლონ ცვალებად მარეგულირებელ გარემოსთან და სხვა გამოწვევებთან ეფექტიანად ადაპტაცია.

დასაშვები აქტივობები:
სწრაფი რეაგირების გრანტები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმგვარი გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც სწრაფ და ჯეროვან რეაგირებას საჭიროებენ. ეს აქტივობები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- იურიდიული, ფინანსური, მონაცემთა დაცვისა და სხვა მნიშვნელოვანი სფეროების ექსპერტთა საკონსულტაციო მომსახურებით სარგებლობა.
- სამართლებრივი ან/და მარეგულირებელი შესაბამისობის აუდიტის ჩატარება წარმოქმნილი სამართლებრივი გამოწვევების ან/და რეგულაციური ცვლილებების გადასაჭრელად.
- ფსიქოემოციური კეთილდღეობის პროგრამების განხორციელება თანამშრომლებისთვის, რომლებიც განიცდიან მომეტებულ სტრესსა და პროფესიულ გადაწვას.
- დროებითი თანამშრომლის ან კონსულტანტის აყვანა, სპეციალიზებული ამოცანების შესასრულებლად.
- გაუმჯობესებული ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ოპერაციული ეფექტურობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.
- მოულოდნელი ცვლილებებით ან საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი საოპერაციო ხარჯების დაფარვა.
- ცვალებადი საოპერაციო გარემოთი გამოწვეულ სხვა გადაუდებელ საჭიროებებზე რეაგირება.

განაცხადის წარდგენის პროცედურა:

- **ბოლო ვადა:** გრანტები ხელმისაწვდომია და გაიცემა ე.წ. „ღია კარის" პრინციპით, საგრანტო პროგრამის ბიუჯეტის ამოწურვამდე.

- **განაცხადის ფორმა:** განაცხადის ფორმა თან ერთვის საგრანტო განცხადებას.
- **ბიუჯეტი:** მოცემული საგრანტო პროგრამისთვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული ბიუჯეტის ფორმა. გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენი შაბლონი, შეხედულებისამებრ.
- **განაცხადის წარდგენა:** განაცხადები უნდა გაეგზავნოს თამარ გურჩიანს, ელექტრონულად, ინგლისურ ან ქართულ ენაზე, შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: tgurchiani@ewmi.org. გთხოვთ, ელ. ფოსტის სათაურის ველში მიუთითოთ „RAPID RESPONSE GRANT“.

გრანტის დეტალები:

- გრანტის მოცულობა: მინიმუმ $300 – მაქსიმუმ $3000
- პროექტების ხანგრძლივობა: მინიმუმ 2 კვირა – მაქსიმუმ 2 თვე

შეფასების კრიტერიუმები:

განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **აქტუალურობა და გადაუდებელი აუცილებლობა:** განმცხადებელმა უნდა განმარტოს, რატომ არის შემოთავაზებული ინიციატივა კრიტიკული და რატომ უნდა განხორციელდეს სწრაფად იმისთვის, რომ იყოს ეფექტიანი.
- **სიცხადე:** განმცხადებელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს შემოთავაზებული ინიციატივის მიზნები, აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები.
- **ხარჯების ეფექტურობა:** შემოთავაზებული ბიუჯეტი უნდა იყოს მოსალოდნელი ზეგავლენის შესაბამისი და ხარჯთეფექტური.

განაცხადების განხილვის ვადა:

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა საგრანტო განაცხადებს მიღებიდან 3-5 დღის ვადაში განიხილავს. დადებითი პასუხის შემთხვევაში საგრანტო ხელშეკრულება გრანტის დამტკიცებიდან ერთი კვირის განმავლობაში გაფორმდება.

ანგარიშგება:

გრანტის მიმღებმა, საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ, უნდა წარადგინოს მოკლე წერილობითი ანგარიში და ფინანსური დოკუმენტაცია.

დამატებითი კითხვები:

კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ თამარ გურჩიანს, შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: tgurchiani@ewmi.org.